ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 253
ნოემბრის 26, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 253
ნოემბრის 26, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სამშაბათს, 26 ნოემბერს, გარდახდილი იქმნება წლისა და ნახევარ წლის პანაშვიდები

დავით და ივანე ალექ. ძეთ ნაცვალოვებისა,

რასაც გულ მოკლული დედა, ძმები და დები განსვენებულთა აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ და სთხოვენ მობძანდნენ 26 ნოემბერს დილის 10 საათზე კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში. (1—464—1)

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☞ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☜

ხელი ს-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილეიშვილთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ი ვ ე რ ი ა“
ღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

მესაზღვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საცალი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.
(120—6.—58)

საჭიროა

პასუხის-მგებელი **პრიკაზჩიკები** თავიანთ მოსამსახურე ხელ-ქვეითებით ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეთა მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიასა და მატარებლების დუქნებში. გირაოდ უნდა იქმნას შემოტანილი 400-დან 600—800 მანეთამდე, ჯამაგირებია გადაწყვეტილი 960 მანეთიდგან 1320 და 1500 მანეთამდე წელიწადში.

საზოგადოების გამგეობა იმყოფება ტფილისში, მიხეილის პროსპექტი, სახლი ალელოვისა, № 162. (4—2)

№ 18 ტელეფონი № 617.

საბენეფისო წარმოდგენა.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, 1902 წ.

კ. ს. მესხის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება
ეფემია მესხის მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა

კოვერლეის მკვლელობა

დრამა 5 მოქმ. 6 სურათ. თარგ. დ. მესხის-მიერ.

ამ პიესისათვის საგანგებოდ გაკეთებულია ახალი დეკორაცია და მოწყობილება. სცენაზე გაივლის რკინის გზის მატარებელი განეებით.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი, რკინელი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მ-დან 10 მ.-დე, პარტერი 70 კ.-დან 3 მ.-მდე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე გალერეია 25 კ.-დან 45 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ტარტიუფი“, „ცქრიალა“, „სიძე-სიმამრი“, „გრიგალი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაში ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კავკასიის

სამთა-მადნო პირველ ოლქის საოლქო ინჟინერი

ამით აცხადებს საყოველთაო საცნობლად, რომ, მისის თავმჯდომარეობით, ბატონის მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულების თანახმად, დანიშნულია 7 იანვარს 1903 წელს ქუთაისში

მეხუთე მორიგი

კ რ ე ბ ა

შავის-ქვის მრეწველთა

და რომ მიღება ვექილობათა კრებაზედ დასწრების უფლების მოპოვებისათვის მოსპობილ იქმნება სამის დღის წინად კრების დაწყებამდე.

პ რ ო გ რ ა მ ა

შორაპნის შავის-ქვის მრეწველთა მე-V კრებისა.

1. არჩევანი კრების მდივნისა.
2. განხილვა ანგარიშთა: კრების საბჭოსი, სარევიზიო კომისიისა, რომელმაც შეამოწმა კრების შემოსავალ-გასავალი და კომიტეტისა, რომელსაც ებარა ვაგონების განაწილების საქმე.
3. განხილვა და დამტკიცება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა და შემოსავლისა.
4. საქმე მამულების შეძენისა კრებისათვის საჭირო შენობათა ასაგებად.
5. სოფ. ჭიათურის პოსადად გადაკეთება და გამარტივებულ საზოგადო მმართველობის შემოღება ჭიათურაში.
6. დაარსება მომრიგებელის სასამართლოსი ჭიათურას.
7. გარდაწყვეტა იმისი, თუ რამდენი უნდა იქმნას გარდახდილი დაბარებულ მადანის თითოეულ გატანილ ფუთზე.
8. შეცვლა ზოგიერთის პარაგრაფისა შავის-ქვის მრეწველთა კრების დებულებაში.
9. დაარსება ხაზინისა ჭიათურას.
10. დაარსება საქიმიო ლაბორატორიისა.
11. დაარსება ქარხნისა შავის-ქვის მადნის გასარეცხად.
12. დაარსება სტიპენდიებისა სამთა-მადნო სასწავლებლებში, მაღალსა და დაბალში.
13. შედგენა გეოლოგიურ რუკისა ჭიათურის მიდამოთა შავი-ქვის მადნისა.
14. დაკლება ტარიფისა ჭიათურის რკინის გზის შტოზედ.
15. მოხსენება კომისიისა, რომელიც აირჩია მესამე კრებამ და რომელსაც უნდა მოესაზრებინა, როგორ დაწესდეს დაბალი სამთა-მადნო სასწავლებელი ქუთაისის გუბერნიაში და აგრედვე როგორ უნდა მოეწყოს შტეიგერთა ინსტიტუტი.
16. მოწყობა მადნის ზედამხედველთა საპრაქტიკო კურსებისა, რომელიც ჭიათურაში არსებობს.
17. რა ღონის-ძიებანი უნდა იქმნას მიღებული, რომ განკარგდეს ვითარება შავის-ქვის მადნის გადატანის საქმე ჭიათურის შტოსა და ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ-ლიანდაგით. განხილვა სხვა საგნებისა შესახებ რკინისგზისა და ნავთ-სადგურისა.
18. დაარსება სახელოსნო სასწავლებლისა ჭიათურაში.
19. ვითარება ბრაზილიის შავის-ქვის მრეწველობისა.
20. დაკეთება ქვა-ფენილ გზებისა და განკარგებულ მისავალის გზებისა: მავთულით სავალისა და ტვირთის ჩატანისათვის მექანიკურად მოწყობილისა.
21. ნაფიც მწონავთა ინსტიტუტის დაარსებისა.
22. რა ღონის ძიებანი უნდა იქმნას მიღებული, რომ განკარგდეს ყოფა-ცხოვრება მუშათა.
23, მოწყობა სასანიტარო-საბეითალო ზედამხედველობისა შორაპნის მადნებში.
24. როგორ უნდა შეიცვალოს ის პირობანი, რა პირობითაც უნდა ზღვევდებოდნენ მადნის მუშები დამზღვევ საზოგადოებათა მიერ.
25. არჩევანი თანამდებობის კაცთა: ა) საბჭოს თავსმჯდომარისა, ბ) საბჭოს წევრთა, გ) ვაგონებისა და საწყობ ფარდულთა გამნაწილებელ კომიტეტის წევრთა და მათ კანდიდატთა და დ) სარევიზიო კომისიისა წევრთა და მათ კანდიდატთა. (1—6.—1)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—ს. მშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.
გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ფრ. ვ. სობოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი

◆ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე და მეუღლე მისი დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული გუშინ, 25 ნოემბერს, ნაშუადღევის სამს საათზე ბრძანდებოდნენ სიონის ტაძარში, სადაც დაუხვდა მათ მთელი კრებული. მცირე პარაკლისის მოსმენის შემდეგ, მათ იმპერატორებით უმაღლესობათ ინებეს და ემთხვივნენ წმ. ნინოს ჯვარს და სიონის ღვთის მშობლის ხატს და დაათვალიერეს ზოგი მისი სიძველენი. დეკ. ტყემალაძე უხსნიდა ყოველისავე.

შემდეგ მათი უმაღლესობანი ბრძანდებოდნენ დასათვალიერებლად საეკლესიო მუზეუმისა. აქ ინებეს და გასინჯეს ტყავზე ნაწერი ძველი წიგნები, ჯვარი დავით დიდისა (+1001 წ.), სვანური მანუსკრიპტები IX—X საუკუნოებისა, სვინაქსრები, სახარება VII საუკ. მოეწონათ ძველად დასურათებული დახატული წიგნები, მისმა უმაღლესობამ მარიამ გიორგის ასულმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ნახატებიანს სვინაქსარს ვალაშკერდონისას, რომლის პირველ ფურცლებზედ არის დაწერილი მისივე ბერძნული ლექსი. ნივთებს აჩვენებდა და საჭირო ცნობებს აძლევდა ბ-ნი მ. ჯანაშვილი.

წაბრძანებისას მუზეუმის წიგნში ინებეს და ჩასწერეს „Георгій“ „Марія“. ამასთანავე ინებეს და წაიღეს მოკლე კატალოგები მუზეუმისა და ითხოვეს გაეგზავნათ პეტერბურგს ვრცელი კატალოგი, რომელიც შედგენილია თ. ჟორდანიას მიერ და რომელიც მალე დაიბეჭდება.

◆ დანამდვილებით შევიტყეთ, რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ამ ჟამად თითქმის სრულიად კარგად იმყოფება.

◆ ამბობენ, რომ ბათუმის ქალაქის არჩევნები განსაჩივრებულ და გაუქმებულ იქმნებაო.

◆ ზაფხულში, სახელდობრ მარიამობის თვეში მოჰხდა ტფილისის ხელოსანთა დეპუტატების არჩევნები. ხელოსნებმავე ამოირჩიეს თორმეტი კაცი და დაავალეს გადაეთვალიერებინათ ხელოსანთა თავის ბ-ნ სერობიანცის სამსახურის დროს ყოველივე საქმის წარმოება და შესავალ-გასავლის დავთრები. კომისიამ მაშინვე მარჯვედ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და ყოველსავე დაწვრილებით იძიებდა; ხელოსანთა დეპუტატების დადგენილებით, ამ გამოძიების ოქმი კომისიას უნდა წარედგინა ხელოსანთა საზოგადო კრებისათვის, რომელსაც უნდა განეხილა და დეედო თავისი მსჯავრი. კომისსიას, როგორც ზოგიერთ ამ კომისიის წევრებმა გარდმოგვცეს, დიდი ხანია დაუმთავრებია გამოძიება და ამ რევიზიის ვრცელი ოქმიც წარუდგენია ხელოსანთა მოურავისათვის; გარდმოგვცეს აგრეთვე ისიც, რომ ხელოსანთა გამგეობას გუბერნატორისაგან მიუღია ქაღალდი, რომლითაც ხელოსანთა მოურავს ნება ეძლევა დანიშნოს საზოგადო კრება. მოსალოდნელია, ახლად ამორჩეული მოურავი, რომელმაც თავდაპირველადვე თითონ აღძრა ეს საქმე და ხელოსანთა აწეწილ-დაწეწილ საქმეებს ისე გულმხურვალედ მოეკიდა, მალე დანიშნავს საზოგადოებას და სერობიანცის დროის საქმეებს დაწვრილებით გააცნობს.

◆ ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ელექტრონით გამნათებელ საზოგადოების „ელიოსის“ წარმომადგენელს, ინჟინერ მირზოევს და სთხოვა წარმოუდგინოს დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა, რა დაჯდება მიწაში ელექტრონის მართულების გაყვანა, მირზოევმა აუწყა გამგეობას, რომ საზოგადოებამ დაავალა წარმოგიდგინოთ მხოლოდ პროექტი განათებისა, და თუნდაც რომ დავალებული მქონდეს მიწაში მავთულების გაყვანის ხარჯთაღრიცხვის შედგენა, ამაზედ დაწვრილებულ ცნობათა მიღება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალაქის გამგეობა კეთილ ინებებს და წარადგენს მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად ქუჩების განათების უკვე შემუშავებულ პროექტსაო.

◆ ტეძმის ხეობაზედ თავ. გრუზინსკიმ აგერ ეს 7—8 წელიწადია დაარსა სახერხი ორთქლით მომუშავე ქარხანა, თავ. გრუზინსკი თავისავე ტყიდგან ეზიდება ხე-ტყეს და ამუშავებს ოც უღელ ხარსა დ̃ კამეჩს; ამავე ქარხანაში ახლო-მახლო სოფლელებს მოაქვთ სახერხი მასალა გრუზინსკისავე ტყიდგან, ყოველ ვერშოკზედ იღებენ ჩამოსატან ფულს; ქარხანაში მზადდება როგორც შენობისა, აგრეთვე უბრალო იატაკისა და პარკეტის მასალა; პარკეტის მასალას ამზადებენ საგანგებოდ არჩეული სალის მუხის ხისას; მუხის ხეს ეზიდებიან კუს-თავის მიდამოებიდგან, რომელიც თრიალეთისა და საჯავახიანოს მიჯნაზე; ეს ტყე ეკუთვნის თავ. გრუზინსკებს; ამ ქარხნისთვის ამ ცოტას ხანში შეუკვეთნიათ 8 ათასიდამ 10 ათას მანეთამდის ღირებული პარკეტის მასალა, რომელიც უნდა დაამზადონ და ჩააბარონ შემკვეთს ცხვრა თვის განმავლობაში.

◆ ვისაც შუა ბაზარზედ ჩაუვლია, უეჭველად შეამჩნევდა, სინოდალურ კანტორის ამოსწვრივ, უზარ-მაზარ შენობას, რომელიც ამ ჟამად უკვე დამთავრებულია და რომელიც მანთაშევის საკუთრებაა ეს შენობა დაყოფილია მაღაზიებად, რომლებშიაც გაჩაღებულია სხვა-და-სხვა ფართლეულობისა და ტყავეულობის ვაჭრობა: ამავე შენობაში მოთავსებულია სხვა-და-სხვა სავაჭრო საზოგადოებათა საწყობნი; ამავე შენობაშია სავაჭრო სახლი ძმათა ხარაევების, რომელნიც, ტფილისშიაც დ̃ კავკასიაშიაც განთქმულნი არიან ტყავის ვაჭრობით; ხარაევების ვაჭრობის აღებ-მიცემა წელიწადში უდრის თითქმის ერთ მილიონ მანეთს; როგორც ყური მოვკარით, ამავე შენობაში უნდა მოთავსდეს ზოგიერთ ქართველ მოვაჭრეების საწყობნიცა და მაღაზიებიც.

◆ სოფ. ახალქალაქიდგან გვატყობინებენ, რომ ამას წინად გორიდგან მისულა იქ გორის მიმრიგებელ-მოსამართლე, რომელსაც ადგილობრივ დაუთვალიერებია ზოგიერთ გლეხ-კაცთა და აზნაურთა სადაო მამულები. მომრიგებელ-მოსამართლეს დაუთვალიერებია აგრეთვე სოფელ ერთაწმინდაში კარგარეთლების სასახლ-კარო სადაო მამულები და ადგილობრივვე გადაუწყვეტია საქმე დავი-დარაბის სამუდამოთ მოსასპობად.

◆ დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც უნდა განხილულ იქმნეს წარსულ კრებაზედ განუხილველად დარჩენილი საქმეები.

◆ რადგანაც ბევრ ქარხნიდგან, მრავალ შემთხვევაში, ძლიერ უვარგისი საქონელი გამოდის გასასაღებლად, მომდურავი მრავალი ჰყავს და ბრალი უვარგის სავაჭრო საქონლის მიამზადებისა-კი ქალაქის სახელოსნო მმართველობას ედება, ამიტომ ქალაქის ხელოსანთა მოურავს განზრახვა აქვს აღძრას გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა, რომ ქარხნებსა და ფაბრიკებში დამზადებულ საქონლის სიავ-კარგის თვალ-ყურის გდება მინიჭებული ჰქონდეს ქალაქის ხელოსანთა გამგეობასაო.

◆ ქალაქის ხელოსანთა მოურავს განუზრახავს დააწესოს ყველა ხელობის ნაკეთობის გამომცდელი კომისია, რომელსაც გამოცდის შემდეგ შეეძლება მიუსაჯოს ნაკეთობის შესაფერისი მოწმობა, ამ ახალ შემოღებით ხელოსანთა მოურავს განზრახვა აქვს მოსპოს ოსტატებისაგან მოწმობათა მიცემაც და ისიც, რომ ბევრი უვიცი შეგირდი ოსტატისაგან ფულით ჰყიდულობს ხელოსნობის ცოდნის მოწმობას.

◆ ამ ჟამად ტფილისის ხელოსანთა დეპუტატები კრეფენ ხელოსნებისაგან სავალდებულო გარდასახად ფულს; როდესაც მათ მიუმართავთ სავალდებულო ფულის გარდასახდელად იმ ხელოსნებისათვის, რომელნიც ფაბრიკებში და ქარხნებში მუშაობენ, ბევრს მათგანს უპასუხნია, რადგანაც ჩვენ ეხლა საფაბრიკო ინსპექციას ვექვემდებარებით, მოვალენი აღარა ვართ გარდავიხადოთ ეგ ფულიო; ხელოსანთა ამქრების უფროსებმა მიმართეს ხელოსანთა მოურავს და სთხოვეს, განგვიმარტე, აქვთ ნება ამ მომუშავეთ უარი განაცხადონ ფულის გარდახდაზედ, თუ არაო. ქალაქის ხელოსანთა მოურავმა ეს საგანი ასე განმარტა. რადგანაც ზოგიერთ ქარხანაში ხელოსნებს ხელოსანთა ამქრებისაგან აქვთ მიღებული მოწმობა და მიწერილნი არიან ხელოსანთა წოდებას, ამიტომ მოვალენი არიან იხადონ დაწესებული ფულიო; მეორეც ესო, დასძენს ხელოსანთა მოურავი, ყველა ხელოსანს ნება აქვს იმუშაოს იქ, სადაც მეტს მისცემენო; თუ ქარხნებში უფრო ეტანებიან სამუშაოდ, ალბათ სარფაც აქვთო; ამ შემთხვევაში ხელოსანთა ამქრებს ერთს მშვენიერს დღეს ყველა ხელოსანთა მომუშავე ხელიდგან გამოეცლებაო, მაშინ ან დეპუტატები, ან ხელოსანთა გამგეობა რისთვის არსებობს ან ვისთვის იმოქმედებსო.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. შავის ქვის მრეწველთა საზოგადოების საბჭოს მოქმედების ანგარიშის დაბეჭდვა თავდება და დეკემბრის პირველ რიცხვებში დაურიგდება წევრებს.

7 იანვრისათვის კრების გადადება ყველას სასიამოვნოდ დარჩა: საბჭო მანამდე მოასწრებს ყოველისავე საქმის მოწეს-რიგებას და მრეწველებსაც დრო ექმნებათ, ანგარიშისა და ყოველისავე საქმის წვლილის გაცნობისა.

აქეთ ახლა მშვენიერი თბილი დარები სდგას და სოფლებში გაცხარებული მუშაობაა.

—

ახალქალაქი (გორის მაზრა). გიორგობისთვის 16-ს იოსება გოგბერაშვილი სამუშაოდგან მოდიოდა, უცებ ავად გახდა, სახლში მისვლისათანავე ცოლს უთხრა მიშველე, ვკვდებიო. ცოლმა აფრინა მეზობლის დედაკაცი მკითხავთან. მაგრამ ვერც მკათხავმა უშველა და წვრილი შვილების პატრონი გარდაიცვალა 17-ს ნოემბერს.

სოფლელი.

—

ქვემო ნიქოზი (ქართლი). მოსავალს პურისასაც და ღვინისასაც აქეთ არა უჭირდა რა. თითქმის ერთი თვეა ჩვენში მძვინვარებს მუცელა (ანუ მუცელ ბატონა, როგორც იმერეთში ეძახიან). იმსხვერპლა ხუთი კაცი, ზოგნი ახლაც ავად არიან. დღემდე ჩვენთვის ყურადღება არავის მოუქცევია. საჭიროა ყურადღება მოაქციონ ამ სოფელს და დაგვიხსნან ამ გადამდებ სენისაგან.

მასწავლებელი.

—

ქუთაისი. 22 ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეებმა გააცილეს ადგილობრივი გიმნაზიის ინსპექტორი, ედ. ავგ. ფეხნერი, რომელიც ამას წინად ბაქოში იქმნა გადაყვანილი. ბ-ნი ფეხნერი მხოლოდ შარშან გადმოიყვანეს ქუთაისში ბაქოდამვე და მიუხედავად იმ მცირე დროისა, რომელიც მან აქ დაჰყო, დიდი სიყვარული, ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა, არა თუ მოსწავლე ახალგაზრდობისა, არამედ საზოგადოებისაც. მისმა გადაყვანამ დიდად შეაწუხა და დაამწარა მოსწავლენი, რომელნიც ყაზახთა პოლკის მუზიკითურთ მრავლად დაუხვდნენ რკინის გზის სადგურზედ თავისს საყვარელს მასწავლებელს და ადრესი მიართვეს მთელი გიმნაზიის მოსწავლეთა სახელით. სწორედ ბედნიერი უნდა იყოს პედაგოგი, რომელიც ასე ცოტა ხანში ასეთს სიყვარულს და პატივისცემას დაიმსახურებს მოსწავლეთაგან.

მკითხველს ეცოდინება, რომ აგერ რამდენიმე თვეა ბალახვანის ქუჩა დაკეტილი იყო, რადგან მას შეკეთებას უპირებდნენ, ხოლო ეს გარემოება-კი ვერაფერი სახეირო იყო როგორც ქუთაისის მცხოვრებთათვის, ისე ქალაქის სამხრეთით მცხოვრებ სოფლელებისათვის, რადგან ამათ ამ ერთად-ერთი გზით შეჰქონდათ სხვა-და-სხვა სანოვაგე ქალაქში გასასყიდად. ეხლა, ვგონებთ, ამ ქუჩას რამე ეშველოს; ამ დღეებში დაიწყეს ამ ქუჩის მოკირწყვლა და იმედია მალე გაათავებენ.

ქალაქის აქაურს ბიბლიოთეკაში ქართული წიგნების რიცხვი ცოტაა, ბევრად ნაკლები რუსულზედ. როგორც ბიბლიოთეკის წიგნების კატალოკებიდან სჩანს, რუსული წიგნების ინვენტარი ბევრად გაზდილა ამ ბოლო წლებში, ბევრი ახალი წიგნი გამოუწერიათ და ქართული წიგნები-კი ისევ ისაა, რაც ბიბლიოთეკის დაარსებისას შეჰკრიბეს ამ ათის წლის წინად. მხოლოდ ერთად-ერთი აბაშიძის თხზულება შეუძენიათ.

გვიკვირს, რად არ ჰზრუნავს გამგე ბიბლიოთეკისა ქართული წიგნებისათვის, რად არ შეავსებს ქართული წიგნების ინვენტარს ბოლო დროის გამოცემული წიგნებით?! ნეტავი რა დააშავა ქართულმა წიგნებმა?! გარდა ამისა, საჭიროა და კარგსაც იზამდნენ, თუკი ქართულ გამოცემებს ორ-ორი ეგზემპლიარად გამოიწერდნენ, რადგან სამკითხველოში უფრო ქართული გამოცემების მკითხველნი მოდიან და ეს უკანასკნელნი-კი იძულებულნი არიან $^1/_4$-დგან $^1/_2$ საათს იცადონ, სანამ ვინმე სხვა, მაზედ ადრე მოსულ, გაზეთს წაიკითხავდეს, მოწყალებას მიიღებდეს და მას გადასცემდეს. კარგი იქნება კიდევ, ვისიც ჯერ არს, ერთს უხერხულობას ყურადღებას მიაქცევდეს. საჭიროა, ბიბლიოთეკა საღამოს ერთის საათით უფრო ადრე გაიღოს, და არა 5 საათზედ, ე. ი. თითქმის ღამე, როგორც ეხლა არის, რადგან მკითხველ საზოგადოებისათვის უფრო სახეირო იქნება დღისით მიმოივლოს ბიბლიოთეკა და არა ღამე, როდესაც ქუთაისის ტალახიან ქუჩებში ბნელა.

ამ ერთის თვის წინედ, როგორც მოგეხსენებათ, ყაზარმის კედელი ჩაინგრა და ქვეშ რამდენიმე კაცი მოიტანა. მაშინვე ადგილობრივი ადმინისტრაციის განკარგულებით ის გზა, რომელიც ამ კედლის გაყოლებამ მიდის, დაკეტილ იქმნა, ვითომ და ქუჩაში მოსიარულეთათვის რამე კედლისაგან მოსალოდნელ უბედურების ასაცდენად. ამ გზის დაკეტვით თითქმის გაუქმდა ის ბორანიც, რომელიც აერთებდა ქალაქს იქით ნაპირს აქეთ ნაპირთან. კარგი იქნება, მალე გზას გახსნიდნენ და მით მცხოვრებთ აამორებდნენ მრავალს უხერხულებას.

Homo novus

—

ცხინვალი. ცხინვალის მახლობლად, სოფელს სახეითოში, კლდიანს მაღლობზე, უხსოვარის დროიდგან აშენებულია ეკლესია, ესრედ წოდებული „ხლუდერი“. ამავე ეკლესიის გვერდზე ეხლახანს სომხებსაც აუშენებიათ ეკლესია. მამული, რომელზედაც აშენებულია ეკლესიები ათადან-ბაბადან ეკუთვნით თავად მაჩაბლიანთ.

ზემო დასახელებულ ეკლესიებს ათადან-ბაბადან ჰქონია და აქვს ერთად-ერთი საურმე გზა სომხების სასაფლაოზე. ამ ორის სამის წლის წინად ხმა, კრინტი არავის დაუძრავს ამ გზის მითვისების შესახებ და მყუდროება იყო დამყარებული სომხებსა და ქართველებს შორის. იქნება სრული წელიწადი, რაც სომხებმა ამოირჩიეს თავიანთ ეკლესიების მნათედ ვასილ შერმაზანოვ-შერმაზანიანცი, რომელსაც შეუჯდა ბუზანკალი და მოინდომა გზა შეუკრას ქართველებს. ქართველების ეკლესია მაღლობზეა აშენებული და ხსენებულ გზის გარდა სხვა არავითარი მისასვლელ-მოსასვლელი გზა არ არის. თვით მდებარეობა ჩვენი ეკლესიისა თვალით ბრმასაც-კი ამცნებს, რო თუ არ ზემო აღნიშნულის გზით, რომელსაც უკრძალავენ დღეს სომხები, ქართველებს არსაიდამ არ შეუძლიანთ იქ მივიდნენ.

რაკი აუკრძალა სომხების მნათემ გზა ქართველებს, შეიქნა ალიაქოთი და ამ დღიდგან დაიწყო ქართველებსა და სომხებს შორის ეკლესიის გზაზე დავი-დარაბა, გაიგზავნ-გამოიგზავნა საჩივრები, დანოსები, თხოვნები.

18 მაისს ხლუდრობა იყო. მოაწყდა დიდძალი ხალხი სალოცავად. რასაკვირველია, სომხებმა არ მოიშალეს თავიანთი დევ-გმირობა და უფრო-კი ნაცარ-ქექიაობა და არ უშვებდნენ ხალხს. ატყდა ორომ-ტრიალი და ის იყო უნდა დარეოდნენ კიდეც ერთ-ურთს, რო გაჩნდა ადგილობრივი პოლიციის ბოქაული ბ-ნი ყანჩაველი, რომელმაც დააშოშმინა ხალხი, ქართველებს მისცა გზა და სომხებს მიჰმართა შემდეგის სიტყვებით: „რა არის, თქვე დალოცვილებო, რაზე ამღვრევთ ხალხს, არ გითხარით, მიჰმართეთ სამართალს, რატო არ მიჰმართეთ და თუ მიჰმართეთ, რატო არ იცადით, გაირჩეს საქმე“. ჩვენმა „ძმებმა“ კარგად იციან, რო არავითარი საბუთი არა აქვთ სიმართლისა და რითი ან როგორ მიჰმართონ?!

მართალი.

რუსეთი

რკინის გზის მმართველობანი შუამდგომლობენ გზათა სამინისტროს წინაშე, რომ ყოველს ხუთის წლის განმავლობაში რკინის

ფელეტონი

სენის მიზეზნი და წამალი

(ვუძღვნი თავად-აზნაურობას)

> Нѣтъ образованія безъ возможно полнаго знанія своего родного языка, какъ орудія мысли.
>
> Невѣровъ.

ამას წინად „ცნობის ფურცელი“ შეეხო ქართულის ენის უნუგეშო მდგომარეობას სხვა-და-სხვა საშუალო სასწავლებელში როგორც სავაჟოში, ისე საქალოში. ოფიციალური სტატისტიკური ცნობების გამოქვეყნებით წერილის ავტორმა ცხად ჰყო, რომ დედა-ენას ზოგს სასწავლებელში სწავლობს მხოლოდ მეოთხედი ქართველ მოსწავლეთა რიცხვისა, ზოგში—მესამედი, ზოგში—ნახევარი, და ამაზედ მეტი-კი—ძალიან იშვიათად. ჩვენ ამ საკითხსავე ორიოდ-სამის წლის წინად ვუძღვენით ცალკე წერილი ქართულს ენაზე და შემდეგ რუსულს ენაზედ დაბეჭდილს წიგნაკშიაც ვრცლად განვმარტეთ იგი; მაგრამ თავი არავინ შეიწუხა, ბანი არავინ მოგვცა და საქმე ჩაჩუმდა... ახლაც ეს ჩაჩუმება ერგება წილად ამ დიდს საკითხს, თუ საზოგადოება ჯეროვანს ყურადღებას არ მიაპყრობს და ქართველი კალმოსანნი დაიზარებენ ბანის მიცემას. ჩვენებურს კალმოსანთ ხშირად, ძალიან ხშირად ავიწყდებათ, რომ ერთი განმარტოებული ხმა, თუნდაც იგი არ იყოს მოკლებული ძალას, ვერას დროს ვერ შეიძლებს დაბადოს მოძრაობა ჩვენს მიძინებულს საზოგადოებაში და გამოიწვიოს პრაქტიკული ღონისძიებანი მთხოვნელობის დასაკმაყოფილებლად. რათა სიტყვა საქმედ იქცეს, წადილი განხორციელდეს, საჭიროა მთელი გუნდის მონაწილეობა, ხმის ამაღლება ბევრისაგან, კანონიერი პროპაგანდა, ერთი სიტყვით ხორო მღაღადებელთა. ამ მოსაზრების ძალით ჩვენ მოვიწადინეთ მხარი დავუჭიროთ წერილის ავტორს, მივსცეთ მას ბანი და ჩვენი წვლილი შევიტანოთ საკითხის გამოკვლევაში... სხვებსაც ამასვე ვურჩევთ და ვთხოვთ კიდეც.

უპირველესად ყოვლისა ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ დედა-ენის უსწავლებლობა სკოლაში ქართველ მოსწავლეთათვის ბევრად უფრო მაზარალებელია და მავნებელი ვიდრე სხვა კავკასიელის ბავშვებისათვის. მოზარდი თაობა ყველა კავკასიელის ხალხისა სწავლობს დედა-ენაზე ყველა სასწავლებელში, პირველი კლასიდან დაწყებული უკანასკნელ კლასამდე, ერთს განსაკუთრებულს საგანს, რომელსაც საღმრთო სჯული ჰქვიან. ამ საგნის სახელმძღვანელოები ყველა მოწაფეს აქვს ხელში, კითხულობენ მას, იზეპირებენ, ეჩვევიან მსწრაფლს კითხვას მშობლიურის წიგნებისას, ითვისებენ თავისს ძველსა და ახალს ენას და ორგანიულად უკავშირდებიან თავისს ერსა. დაუმატეთ ამას ისიც, რომ საღმრთო სჯულის მასწავლებლები ღვიძლი შვილები არიან იმავე ერისა, მამობრივი სიყვარულით ექცევიან თავის მოწაფეებს, მუდამ ესაუბრებიან მათ ღვიძლს ენაზე, უქადაგებენ ზნეობასა და სარწმუნოებას ბუნებრივი ენით, და თქვენთვის ცხადი შეიქმნება, თუ რა სახარბიელო უფლება აქვთ ამ კავკასიელს ერებსა. როგორც კარგად მოგეხსენებათ, საღმრთო სჯულს ყველა სასწავლებლებში ქართველს ბავშვებს ასწავლიან რუსებთან ერთად ამ უკანასკნელების ენაზე და ასწავლიან უმეტესად არა ქართველნი. ჩვენი შვილები მოკლებულნი არიან სრულიად არამც თუ ქართულს სახელმძღვანელოებს საღმრთო სჯულისას, არამედ თვალადაც ვერა ხედავენ ქართულს სახარებასა და დაბადებასა და დანატრულებულნი არიან მამობრივს დარიგებას ღვიძლი ენის შუამავლობით.

ამის გამო თუ სხვა კავკასიელი ბავშვი არ ივლის თავისი ენის გაკვეთილებზედ, ამითი იგი ვერ მისწყდება სამშობლო ნიადაგსა, რადგანაც მასთან აკავშირებს მას საღმრთო სჯულის სწავლება დედა-ენაზე, როგორც ვსთქვით. მაგრამ თუ ქართველი ბავშვი გაურბის და არ ეკარება ქართულის ენის გაკვეთილებს, იგი ჰკარგავს ერთად ერთს შემაერთებელს კავშირს სამშობლოსთან, სწყდება ეროვნულს ხესა, ემსგავსება მოჭრილ ტოტსა და გზა-დაბნეულის არსების ბედს იმზადებს...

აი რისათვის უნდა ჩაითვალოს ორ კეც და სამ-კეც უბედურებად ის სავალალო მოვლენა, რომ მხოლოდ მცირედი ნაწილი ქართული მოზარდი თაობისა სწავლობს თავისს დედა-ენას სხვა-და-სხვა სასწავლებელში. უმრავლესობა-კი სრულიად მოწყვეტილა ამ ეროვნულს წყაროსა.

მიზეზად ამ მეტად სამწუხარო მოვლენისა ჩვენმა ავტორმა დაასახელა გულ-გრილობა დედა-ენისადმი ქართველ მშობელთა, და ამითი გაათავა სიტყვა. სწორედ წინდაუხედველობა მოუვიდა და აი რად. მან ამითი იარაღი მისცა ხელში იმ პირთ, რომელნიც ლაქლაქებენ, რომ ქართული ენა თვით ქართველებსაც აღარ უნდათ ეს უძღები პოლიტიკანები თავისს საკბილოს ვერასფერს იპოვნიდნენო ავტორის წერილში, თუ რომ მას გაეგრძელებინა სიტყვა, გაეფურჩქნა თავისი აზრი და ყოველი მხრით მოეფინა ნათელი საგნისათვის. მან თავი არ შეიწუხა, და ეს გარემოება იძულებულს გვყოფს მისგან შუა-გზაზე დატოვებულს ეტლს ჩვენ შევებათ და შეძლებისამებრ ვეცადოთ მივაგოროთ იგი ბინამდინ, თუ ამინდმა არ გვიღალატა.

მართალია, სრული მართალი, რომ აღნიშნულს სამწუხარო მოვლენაში გულ-გრილობას ქართველი მშობლებისას ადგილი აქვს, წილი უძევს. მაგრამ ეს გულ-გრილობა ერთი მრავალთაგანი მიზეზია, და არა ერთად ერთი. ხოლო ვიდრე ამ მიზეზებს გამოვარკვევდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ამ გულ-გრილობას ისტორიული სარჩული გავუშინჯოთ.

მრავალთა საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ურიცხვნი მტერნი სულ იმასა სცდილობდნენ, რომ სარწმუნოება წაერთმიათ ჩვენთვის და თავის რჯულზე გადავეყვანეთ. ჩვენის ენის წართმევაზე-კი, მის ამოფხვრასა და გაუქმებაზე არამც თუ არა ფიქრობდნენ, პირიქით თვითონაცა სწავლობდნენ. ჩვენის სარწმუნოების დევნით სავსებით სავსეა საქართველოს წარსული; მაგრამ დიოგენის ფარნითაც ვერ მიაგნებ იქ ენის დევნასა. ამის გამო ჩვენნი წინაპარნი იბრძოდნენ მხოლოდ სარწმუნოებისათვის და ამ ბრძოლაში უკანასკნელს ხარისხამდე გაიწრთვნენ და სიმტკიცე ფოლადისა მოიპოვეს. ენისათვის ბრძოლა-კი მათ სრულიად არ იცოდნენ, რადგანაც ამ ეროვნულს საუნჯეს მათ არავინ ართმევდა, არავინ აუქმებდა, არავინა სჩაგრავდა... რუსეთთან შეერთების შემდეგ სარწმუნოება უზრუნველ ყოფილ იქმნა მაგრამ ბევრი ქართველი ვერა გრძნობს, ვერ ამჩნევს ხიფათს და განსაცდელს, რომელიც მოელის მის დედაენას, და არა ზრუნავს შესაბამს ღონისძიებაზე. პირიქით დარწმუნებულია, რომ როგორც სარწმუნოებას, ისე ენას არაფერი დაუშავდება. აბა ამისთანა ქართველს ჰკითხეთ: რატომ შენი შვილები არ დაიარებიან ქართულის ენის გაკვეთილებზეო, და იგი გულწრფელად მოგიგებს: „ქართული ენა სად წაუვათ, შემდეგშიაც მოასწრებენ მის შესწავლასაო“. მაგრამ ასე ფიქრობენ მხოლოდ უბირი გონების პატრონნი. სხვებს-კი კარგად აქვს შეგნებული სიბრძნე ქართულის ანდაზისა: მიმჭვრავი კატა უარესია მყეფარაზედაო.

გზის მოხელეთ პერიოდულად ემატებოდეთ ჯამაგირი. ამ გვარი შუამდგომლობა მეორედ ირჩევა სამინისტროში.

— გზათა მინისტრის განკარგულებით რკინის გზის ამა თუ იმ მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პასაჟირთა ვაგონების გათბობას.

— საერთაშორისო საამშენებლო საზოგადოების კონგრესი მოხდება პეტერბურგში 1904 წ.

— ახლო მომავალში მოეწყობა პეტერბურგში სპარსეთის რკინის გზის საზოგადოება

— სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის მეურნეთა კრება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საჭიროებათა განსახილველად ნება დართულია.

— მოსკოვის ქალაქის გამგეობამ საბჭოს წარუდგინა მოხსენება, ქალაქის ღარიბ მცხოვრებლებს შეშა ამ ზამთარს დაკლებულ ფასად მიეცეთ.

— მიწად მოქმედების სამინისტრო თესლეულობის სხვა-და-სხვა ადგილას დასაგზავნად ჰხარჯავდა 25,000 მ. წლიურად. მომავალ წლიდგან-კი დახარჯავს 85,000 მ. წელიწადში.

— პეტერბურგში მოსულა იაპონიის დელეგატი შიმამური, რომელსაც დავალებული აქვს კარგად მოაწყოს იაპონიასა და რუსეთს შორის ვაჭრობის საქმე.

— მოსკოვის კომერციულ ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას განუზრახავს 7 კლასიანი საკომერციო სასწავლებელი დააარსოს ქალთათვის. სასწავლებლის წესდება შემუშავებულია და წარდგენილია მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად.

— იურიევის უნივერსიტეტის საბჭოს კრებას (4 ნოემბერს) საპატიო წევრად აურჩევიათ ლ. ნ. ტოლსტოი და მღვდ. იოანე კრონშტადტელი(?).

— ამას წინად ოდესის მახლობლად ზღვაში იპოვეს კალათი, რომელშიაც 25 წლის ლამაზის ქალის გვამი იდო. ეს ქალი ყოფილა ოდესის ლომბარდის მწერლის ჩეტვერიკოვის ცოლი. ქმარს მოუკლავს თავისი ცოლი, ჩაუდვია კალათაში, წაუღია ნავთ-სადგურზე და გადაუგდია ზღვაში.

— მოსკოვის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ 29 ნოემბერს მოსკოვში არტისტ სობინოვის მეთაურობით გაიმართება კონცერტი.

— 18 ნოემბერს დაიწყო სახელმწიფო საბჭოს წევრთა საზოგადო კრება.

— ადგენენ ახალს წესდებას რუსეთის მხატვართა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოებისას. წესდებაში ჩართული იქნება მხატვართა ქვრივებისა და ობლების დახმარების მუხლიცა.

— ეკატერინოსლავში აკურთხეს მუშათა საავადმყოფოს შენობა, რომელიც მეფაბრიკეთა და მექარხნეთა ხარჯითაა აგებული.

— მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ბჭობა აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაადვილდეს და გაიაფდეს წვრილ-წვრილ მამულის ერთიდან მეორის ხელში გადასვლა.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. ვენურ გაზ. „Politische Correspondent“-ში დაბეჭდილია პეტერბურგიდგან მიღებული ცნობა, თუ რა ღონისძიება უნდა იხმარონ რუსეთმა და ავსტრია-უნგრეთმა მაკედონიის საქმეების მოსაწესრიგებლად.

ამ უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ მაკედონიის საქმეთა მოსაგვარებლად ევროპიელთა კონგრესი მომხდარიყო, მაგრამ სათანადო სადიპლომატო წრეებში ვერ ჰპოვა ამ აზრმა საჭირო ნიადაგი, რადგან ყველას თავისი კერძო ანგარიში აღმოუჩნდა.

მხოლოდ ეს კიდევ იმას არ მოასწავებს, რომ დიდი სახელმწიფოები, რომელნიც ახლო სდგანან ბალკანეთის სახელმწიფოებთან, მიყუჩდნენ და ხმა არ ამოიღონ მარტო იმ იმედით, რომ ევროპის აღმოსავლეთში საზოგადოდ მშვიდობიანობა სუფევს და შიში არაა, მაკედონიის არეულობამ დაარღვიოს იგი, პირიქით, აუცილებლად საჭიროა დიდმა სახელმწიფოებმა სწორედ ეხლა ისარგებლონ მარჯვე შემთხვევით, როცა ზამთრის სუსხმა ცოტა არ იყოს მოარიდა არეულობა და გამონახონ რაიმე საღსარი, თორემ გაზაფხულზე საქმე იმდენად გამწვავდება, რომ ერთი ათად უფრო ძნელი იქნება მშვიდობიანობის აღდგენა.

გარდა ამისა რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი, თუმცა მუდამ გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ბალკანეთის მცირე სახელმწიფოების სვე-ბედსა, განსაკუთრებით მაკედონიას, მაგრამ მათ არ ეწადათ ძალადობა, სისხლის ღვრა; ერთის მხრით ცდილობდნენ, რომ მაკედონიაში არ ეფეთქა აჯანყებასა და მეორეს მხრით მშვიდობიანის საშუალებით იძულებულ ეყოთ ოსმალეთის მთავრობა, რომ თანდათან საჭირო ცვლილებანი მოეხდინა მაკედონიაში. ამ შემთხვევაში-კი გამუდმებული მუშაობა აქვთ ზემოხსენებულ სახელმწიფოებს.

რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთში დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ ეხლავე უნდა შეუდგეს ოსმალეთი მაკედონიის მკვიდრ ქრისტიანეთა მდგომარეობის გაუმჯობესობას, მეტი ლოდინი ყოვლად შეუძლებელიაო. საჭირო არაა, მთელმა ევროპამ მოიყაროს თავი და გააზვიადოს საქმე, რომელსაც თამამად აუვლენ რუსეთი და ავსტრია-უნგრეთიო, მით უმეტეს, რომ სწორეთ ამ ორ სახელმწიფოსათვისაა საგულისხმო ბალკანეთის ავი და კარგიო. ჩვენის აზრითაო — დასძენს გაზეთი — შეთანხმებული მოქმედება ამ ორ სახელმწიფოთა სრულიად საკმარისია, რომ არც ევროპის მშვიდობიანობა დაირღვეს, და მაკედონიის საქმეებიც საკეთილოდ დაბოლოვდეს.

სხვა-და-სხვა წერილები

მოკლე დარიგება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აიცდინოს ადამიანმა თავიდგან ჭლექით ავადმყოფობა.

ყველაზედ უმეტესად დამაზარალებელი ავადმყოფობა ადამიანისათვის ფილტვების სიჭლექეა. ეს სენი თვით ჭირს, ხოლერასა და სხვა გადამდებ ავადმყოფობაზედ მავნებელია, იმიტომ რომ ერთი მეხუთედი იმ ხალხის რიცხვისა, რომელიც სხვა-და-სხვა ქვეყნაში იხოცება, ამ სენით კვდება. ჭლექით **ყოველ წლივ** ევროპაში ერთს მილიონზედ მეტი ხალხი იხოცება და საკუთრად რუსეთში — ნახევარ მილიონზედ მეტი.

სიჭლექე სწორედ, რომ **საყოველთაო ავადმყოფობაა**, რადგანაც ამ სენით მრავალი ხალხი ხდება ავად ქალაქებსა და სოფლებში, უმეტესად-კი ისინი, რომლებიც სუფთა ჰაერს არიან მოკლებულნი, ვინც ვიწროთ სცხოვრობს პატარა, ბნელს და მიწურ სადგურებში, ვისაც ცუდი და ნაკლები საზრდო აქვს; დიდის ქარხნების ხელოსნები და მუშები, მოსწავლენი და მასწავლებელნი იმ სკოლებისა, რომელნიც ჰაერის სიწმინდეს არიან მოკლებულნი; ჯარის კაცნი მტვრიან ყაზარმებში; დატუსაღებულნი ვიწრო საპატიმროში; ბავშვები წითელასა და ყივანა-ხველას შემდეგ და სხვანი. მაგრამ ყველაზედ ადვილად ის ბავშვები და მოზრდილნი ხდებიან ავად, რომელნიც ჭლექით ავადმყოფ დედ-მამის ჩამომავალნი არიან.

ამის გამო წინად სიჭლექე ითვლებოდა აუცილებელ უბედურობად ღარიბის ხალხისა და **ჩამომავლობითი ავადმყოფობად**. ამიტომაც წინად არავინა ფიქრობდა ჭლექის წინააღმდეგი ბრძოლისათვის საზოგადო ღონისძიების მიღებით. თითოეულ ავადმყოფის მოსარჩენად მიმართავდნენ ხოლმე წამლებს, რომელიც იშვიათად შველოდა ვისმე. ამ სახით ჭლექი ნელ-ნელა და დაუბრკოლებლივ ვრცელდებოდა...

ამ უკანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ საქმე ჩამომავლობა-კი არ არის და არც მარტო სიღარიბე, არამედ უმთავრესი მიზეზი ჭლექის გავრცელებისა მისი **გადამდები** თვისებაა. იმავ სწავლულებმა აღმოაჩინეს ავადმყოფის ჭლექ მოდებულს ნაწილებში და ნახველში თვით სენის მიზეზიც, ნამდვილი **თესლი სენისა**, რომელიც უიარაღო თვალისთვის უჩინარია და მხოლოდ დიდად მაჩვენებელ იარაღის შემწეობით შეიძლება მისი დანახვა. ეს თესლი რომ მოხვდეს, მაგალითად, კანსა სუსტისა და უძლურის კაცისას, ადვილად მრავლდება და კანზედ პატარა **ძიძიბოებს** აჩენს, რომელიც შემდეგ იშლება და კანზედ საშინელ იარებად გადაიქცევა ხოლმე. ეს არის **კანის სიჭლექე**, რომელსაც ხალხი უწოდებს სახელად **მჭამელს**. იგივე თესლი, როდესაც ჰაერის შემწეობით მოხვდება ფილტვებს დასუსტებულის, დაძაბუნებულის კაცისას, აქაც მრავალ ძიძიბოებს წარმოშობს, რის გამოც პირველად ხანგრძლივი მშრალი ხველა ემართება. ეს ძიძიბოები ფილტვებში ლპება, გადიქცევა ჯერ პატარა და შემდეგ დიდ-დიდ არსებად ფილტვისა, საიდგანაც წარმოსდგება ყველასაგან ცნობილი ამოღება სისხლისა და ბალღის-მაგვარის ნახველისა. ეს არის **ფილტვის სიჭლექე**, ანუ ეგრედ წოდებული **ჭლექი**.

შემდეგ სწავლულთ უფრო უკედ შეისწავლეს განსაკუთრებულნი თვისებანი ამ ჭლექის თესლისა და უფრო სანუგეშო აზრი დაასკვნეს, რომ ჭლექის წინააღმდეგ ისევე შესაძლებელი ბრძოლა, როგორადაც ვებრძვით სხვა გადამდებ ავადმყოფობას.

ორი გზა არის ცნობილი გახშირებულ გადამდებ ავადმყოფობათა საწინააღმდეგოთ, მათ-შორის ჭლექის საწინააღმდეგოდაც. **ერთი გზა** იმ ღონისძიებათა ხმარებაა, რომელსაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობა აქვს მხედველობაში. ეს არის **აღზრდა** მაგარის, ჯანმრთელის ახალ-თაობისა *); ბრძოლა ხალხის **ლოთობის** წინააღმდეგ, რადგანაც ლოთობა ძალიან უწყობს ხელს ჭლექით ავად გახდომას. ლოთობას უნდა ვებრძოლოთ იმისთანა საზოგადოების დაარსებით, რომელსაც აზრად აქვს ლოთობის მოსპობა, ჩაის სმის გავრცელებით, საჩაიების გამართვით, ისეთის საჩაიების გამართვით, სადაც სხვა-და-სხვა სასარგებლო გასართობის გამართვაც შეიძლებოდეს, **შემწეობა ღარიბ მცხოვრებთათვის** იაფ-ფასიან სადილების მართვით, სახალხო პურ-სახლებისა, აბანო და საღ სადგურების აშენებით ხალხისთვის; საღი და სუფთა წყლის **აღმოჩენა მცხოვრებთათვის** და სხვა-და-სხვა. — ყოველივე ეს სახელმწიფოსი, ქალაქებისა და საზოგადოების საქმეა და იმათვე უნდა მართონ ეს საქმე!

მეორე გზა ბრძოლისა ის არის, რომ ყველამ იცოდეს, სად იმყოფება უმთავრესი წყარო სენისა გარეშე ადამიანის გვამისა და ყოველის ღონისძიებით უნდა სპობდეს და ერიდებოდეს ამ წყაროს. აი, ამაზედ გვექნება ლაპარაკი ქვემოდ.

უპირველესად ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, რომ ჭლექი არის წყნარად მომქმედი სენი, როგორათაც სიფილისი (ცუდი ავადმყოფობა) და სხვა. **შთამომავლობით**-კი გადაეცემა ძალიან და **ძალიან იშვიათად**. ბავშვები მხოლოდ დაბადების შემდეგ ხდებიან ავათ.

შემდეგ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ **ჭლექი განკურნი ავადმყოფობაა**. აღმოჩნდა, რომ მისგან განკურნვა სრულებით უწამლოდაც შესაძლებელია, მხოლოდ ამისთვის საჭიროა, ავადმყოფობა გაძნელებული არ იყოს. გაძნელებული, უყურადღებოთ დაგდებული ავადმყოფობა-კი მართლა ძნელი მოსარჩენია. საჭიროა, მაშინვე, როგორც პირველად ეჭვი დაებადება ჭლექის გაჩენისა, ავადმყოფი განშორდეს იმ ვითარებას, რომელშიაც დასნეულდა, და გადასახლდეს სხვა ადგილს. ისე მოეწყოს იქ, რომ თითქმის მთელი დღე და ღამე სუფთა ჰაერსა სუნთქავდეს, თანაც მომეტებულსა სჭამდეს, ხმარობდეს კიდევ რამდენსამე სხვა ღონისძიებას და ფრთხილობდეს ექიმის ზედამხედველობით. ამ აზრით ეხლა ყოველგან აარსებენ განსაკუთრებულ საავადმყოფოებს ჭლექიანთათვის, რომელთაც **სანატორიები** ჰქვიან.

გარდა ამისა უნდა ვიცოდეთ, რომ **ჭლექით ავადმყოფი თავისთავად საშიში არ არის მახლობელთათვის**, არც ოჯახში, არც საზოგადოებაში. კარგად მოწყობილ საავადმყოფოებში და სანატორიებში ჭლექიანები ასობით იმყოფებიან და მათგან ავადმყოფობა არ გადაედებათ ხოლმე არც ექიმებს და არც მათ მომვლელ მოსამსახურეებს. სენის გადადების შიშს უმთავრესად **ნახველი** შეადგენს. რომელიც ამოდის უკვე დაზიანებულ ფილტვის ბუდეებიდგან. ყოველ ამ გვარ ნაფურთხში **ათასობით არის ჭლექის თესლი**. შესანიშნავია, რომ გადამდები ძალა ამ თესლისა არა ჰქრება რამდენისამე თვის განმავლობაში მაშინაც-კი, როდესაც ნახველი **ხმება**.

როდესაც გახმება ნახველი, მტვრად იქცევა ხოლმე. ეს მტვერი პოლიდგან, ხალიჩებიდგან გვისა და ბერტყის დროს ჰაერში იბნევა, აქედან ადამიანის ფილტვებსა ხვდება და უჩენს ჭლექს. აქედან ადვილად გასაგებია, რომ ასი და **ათასი სისუფთავის მოყვარე** ჭლექი ერთად სრულიადაც არ არიან ისე საშიში მახლობელთათვის, როგორც ერთი **უსუფთავო** ავადმყოფი, რომელიც ყოველ წამოხველების დროს თავის მოჭარბებულ ნახველს აფრქვევს მიწაზედ, იატაკზედ, ხალიჩაზედ, ცხვირსახოცში, ამ გვარი ავადმყოფი სწამლავს არამც თუ მახლობლებს, თავის მდგომარეობასაც ახდენს, იმიტომ რომ მისი გამხმარ ნახველის მტვერი ხვდება ჯერ კიდევ საღ ნაწილებს მისის ფილტვებისას და აქაც სჩნდება ახალი ბუდეები ჭლექისა.

—

ყველა აქ ნათქვამიდგან ცხადია, შემდეგი **უმთავრესი წესი ჭლექით ავადმყოფობის თავიდან ასაცდენად**:

1. ყველა ავადმყოფმა, რომელსაც ხანგრძლივ ახველებს, უნდა დაიდოს ჩვეულებად, არას გზით არ აფურთხოს მიწაზედ, იატაკზედ, ხალზედ, ცხვირსახოცში და სხ., არამედ მხოლოდ ცალკე დანიშნულ საფურთხებელში, რომელიც უნდა იყოს სავსე წყლით და არა ქვიშით ან მშრალის ქატოთი როგორც ჩვეულებათა აქვთ ბევრგან.

2- მის საფურთხებლად გამოდგება ყველა სულ უბრალო იაფი ჭურჭელი, თუნდაც თიხის; ამისთვის შეიძლება ვიხმაროთ ფინჯანი და სტაქანი ან სხვა ამ გვარივე ჭურჭელი, ოღონდ-კი მის ძირში იდგეს ცოტაოდენი წყალი ერთი კოვზი იაფი სკიპიდარით ან ბორის სიმჟავით შეზავებული. ზაფხულში საფურთხებელს თავსახურავი უნდა ჰქონდეს, რომ ბუზები არ ჩადიოდნენ შიგა და იქიდან სენი არ გადაჰქონდეთ სხვაგან.

3. კარგი იქნებოდა, რომ ყველამ, ვისაც, დიდი ხანია, რაც ახველებს, სახლ გარეთაც იქონიოს რომელიმე ჯიბით სატარებელი საფურთხი, ამა თუ იმ ფორმისა, მხოლოდ პრობკით თავდაცული. ცხვირსახოცში მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაში უნდა გააფურთხონ ხოლმე და ამასთანავე სახლში დაბრუნების შემდეგ ეს ცხვირსახოცი იმ წამსვე უნდა ჩაიდოს მდუღარე წყალში და მხოლოდ შემდეგ მიეცეს გასარეცხად.

4. ნაფურთხი უნდა გადიქცეოდეს ნავის ორმოში და ფეხისადგილში, სადაც ჭლექის თესლი უშვებლად განქარდება. ხმარების წინ საფურთხებლები უნდა მდუღარე წყალში იდოს, ხმარების დროს კი წმინდა წყლით გავსილი რამდენსამე ადგილას უნდა იდგას სახლში.

5. რადგანაც ავადმყოფობის გადადება შესაძლებელია ჭლექის ფურთხისა და ნახველის წინწკლების მოხვედრით საღის ადამიანის პირისახეში, ამიტომ ყველა დიდის ხნის ხველით სნეული უნდა ფრთხილობდეს და ზრდილობის მოთხოვნილებით სხვასთან ლაპარაკის დროს არ მოახვედროს წინწკლი (ამისთვის ხველის დროს ან პირის მარიდებაა საჭირო, ან ხელის მიფარება პირზედ და სხვა).

6. ჭლექით ავადმყოფის ოთახში არც ფარდები უნდა იყოს ხმარებული, არცა ხალიჩები. მზისა და სინათლეს ფართო გზა უნდა მიეცეს. ავადმყოფის სადგურის იატაკი დაგვის მაგიერად უნდა ირეცხებოდეს. მტვერი და ნაგავი ამ სადგურისა ქუჩაში არ უნდა გადაყარონ, უკეთესი იქნება დაიწვას.

7. ავადმყოფი თავის ოთახში მარტოკა უნდა იწვეს; თუ საჭიროება მოითხოვს, როდესაც ავადმყოფს მუდმივი მოვლა ეჭირვება, შეიძლება იყოს ვინმე იმასთან. ჭლექიანები დღისით, რაც შეიძლება, მეტი ხანი უნდა იყვნენ გარედ ჰაერზედ ან ზეზე მოსიარულენი ან მწოლიარენი, როგორც ძალ-ღონე შესწევთ. მისის სწოლის ფანჯრები დღე და ღამ ღია უნდა იყოს, თუმცა ცუდის ამინდისა და მძლავრის ქარის დროს სიფრთხილეა საჭირო.

8. ჭლექიანის ტანისამოსს, საცვლებისა და სხვა ამგვარ ნივთების ჩუქება მოსამსახურეთ და ღარიბთათვის მის სიკვდილის შემდეგ ცოდოა, რადგან მომხდარა, რომ ამის გამო ჭლექით ავადგამხდარან ღარიბნი, მაგრამ ჯანმრთელი ადამიანები. ღარიბებმა, თუ დასაწვავად ენანებათ ტანისამოსი და საცვლები ჭლექიანისა, უნდა ხმარების წინ ორის საათის განმავლობაში მაინც ხარშონ ადუღებულ წყალში.

9. ოთახი, სადაც იდგა და მოკვდა ჭლექიანი,

ამ უკანასკნელებს კარგად ესმით მშობლიურის ენის მნიშვნელობა, ესმით, რომ იგი არის მთავარი ბურჯი ერის არსებობისა და წარმატებისა, ესმის, რომ დედა-ენის შეუსწავლელობა მათს შვილებს დააქვეითებს ზნეობითაც, გონებითაც, ხასიათითაც და მისწრაფებითაც, მაგრამ მაინც ვერ ავალებს თვის შვილებს, უთუოდ იარონ ქართულის ენის გაკვეთილებზე.

რა უშლის ხელსა, რა უბნევს გზასა და რა ჰყოფს იძულებულს უკუღმართად მოიქცეს? ქართულის ენის სწავლება სკოლებში ჩაყენებულია ყოვლად შეუძლებელს გარემოებაში. აი ნამდვილი მიზეზი იმ სავალალო მოვლენისა, რომელიც ჩვენ გვალაპარაკებს...

ავიღოთ ჯერ რიცხვი გაკვეთილებისა. როგორც მოგეხსენებათ ქართულის ენისათვის დანიშნულია პირველს და მეორე კლასში ორ-ორი გაკვეთილი, მესამეში და მეოთხეში თითო-თითო. მეხუთე კლასიდგან დაწყებული ქართულის ენის ჭაჭანებაც არ არის. ეს ისეთი უკიდურესი სიმცირეა დროისა, რომ სწავლება ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუნდა ყველა სხვა გარემოება ხელს უწყობდეს მას. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ყველაფერი სხვაც ხელს უცარავს სწავლებასა ..

თვით დრო ქართულის გაკვეთილებისა ყოვლად შეუფერებელია. ქართულს ენას ნარჩენები აქვს დამატებითი მეექვსე საათი. ბავშმა ჯერ უნდა გაათაოს ხუთი გაკვეთილი სხვა-და-სხვა საგნებისა და შემდეგ ეწვიოს თავის დედა-ენასა, ეწვიოს მაშინ, როდესაც იგი სრულიად დაღლილ-დაქანცულია. რა გულით და რა ყურადღებით უნდა მოეკიდოს ხუთი საათის ჩიჩინით ილაჯ გაწყვეტილი ბავშვი თავისი ენის გაკვეთილსა? რის შესწავლა შეუძლიან მას? მას ამ დროს ესაჭიროება, უკიდურესად ესაჭიროება დასვენება და დასვენების მაგივრად ხელახლად სმენ ხმელ სკამზე და ისევ წიგნს აჩეჩებენ ხელში. მიუხედავად ამისა, ცოცხალი, მცოდნე და ხალისიანი მასწავლებელი ქართულის ენისა მოახერხებდა ბავშვებში აღეძრა ყურადღება საგნისადმი და ნაყოფიერად ეშრომა; მაგრამ სად არის ამისთანა მადლიანი მასწავლებელი? ქართულს ენას აბარებენ იმისთანა სულიერებს, რომელთაც არც ცოდნა აქვთ, არც ხალისი საქმისა, მოკლებულნი არიან უნარსა და მთელს გაკვეთილს ატარებენ მთქნარებასა და თვლემაში. და ასეთს მკვდარს სწავლაში მშობლები ვალდებულნი არიან ცალკე საფასი აძლიონ, რაც მეტად სამძიმო ტვირთს შეადგენს ქართული ცალიერი ჯიბისათვის.

ყველასათვის ცხადია, ვგონებ, თუ რა ღონის-ძიებით შეიძლება ვიხსნათ ჩვენი ენა იმ ჭაობიდგან, რომელშიაც იგი არის ჩაფლული, და დავაყენოთ სწორე და ფართო გზაზე. ქართული ენა უნდა გახდეს სავალდებულო საგნად ყველა ქართველთათვის, მიენიჭოს სრული უფლება საშტატო საგნისა და ისწავლებოდეს იმ დროს, როდესაც ისწავლება ყველა სხვა საგნები, ხუთის ნორმალურის საათის განმავლობაში, და არა ებას სასწავლებლებს რაღაც უმნიშვნელო კუდად. მისს მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ იგივე ცენზი, იგივე სამსახურის უფლება და ეძლეოდეთ იმდენივე ჯამაგირი ხაზინიდგან, რა ცენზიც მოეთხოვა, რა უფლებაც აქვს და რა ფასიც ეძლევა სხვა საშტატო საგნების მასწავლებელთა.

ასე იყო უწინ, ასე უნდა დაწესდეს ახლაც.

თუ იყო, რად გაუქმდა ეს მადლიანი წესი? ქართულს ენას ხომ არ დაედო რაიმე ბრალი, და დასასჯელად მას სავალდებულო საგნის უფლება ჩამოართვესო? შეიძლება იკითხოს ზოგმა მკითხველმა.

ახლად შობილი კრავი არ იქნება ისე უბიწო, როგორც უბიწო და უბრალო იყო ქართული ენა ყოველის მხრივ და მას არავინ არცა სდებდა რაიმე ბრალსა. საქმე უკუღმა დატრიალდა სრულიად სხვა მიზეზით. მესამოცე წლებში, როგორც მკითხველს ეხსომება, პოლშელებს სისულელე მოუვიდათ და რუსეთს აუჯანყდნენ. მალე დამარცხდნენ და დამორჩილებულ იქმნენ. დასასჯელად დაჰკარგეს ბევრი სიმართლე და მათ შორის პოლშურს ენასაც ჩამოერთვა საშტატო საგნის უფლება. თუმცა ქართველებს ეს სისულელე არ ჩაუდენიათ, და მუდამ სამაგალითო ერთგულებით ემსახურებოდნენ სახელმწიფოსა; მაგრამ მათს ენასაც ის დღე დაადგა, რაც პოლშელების ენასა. ეს იყო მესამოცე წლების ბოლოსა. მასუკან გარემოება ბევრად შეიცვალა, პოლშურმა ენამ დაკარგული უფლება მეორედ მოიპოვა, ამავე უფლებით სარგებლობენ არამც თუ ფილიანდელები, არამედ სარტებიც-კი საშუალო აზიაში, რომელთა ენასაც სავალდებულო და საშტატო საგნის უფლება მიენიჭა სამის წლის წინად; მაგრამ საწყალი ქართული ენა-კი ისევ იმ შავს მაზარაშია გახვეული, რომელიც მას ოცდა ათის წლის წინად წამოასხეს და ამ შავი მაზარის თავიდგან მოუშორებლობა პირდაპირი შედეგია ჩვენის თავადაზნაურობის, ჩვენის ლიტერატურის და ჩვენის მოღვაწეების უზრუნველობისა.

დროა, გამოვიფხიზლოთ, უზრუნველობას თავი დავახწიოთ და ჯეროვანი სიმხნე გამოვიჩინოთ დედა-ენის უფლების აღსადგენად და მისს ასაყვავებლად. დროა, სავსებით შევიგნოთ ჩვენი მაღალ-ნიჭიერის პოეტის გრიგოლ ორბელიანის ლექსის მნიშვნელობა:

რა ენა წარხდეს, ერიც დაეცეს,
ჩირქი მიეცხოს ტაძარს წმიდას.

დროა, გონს მოვიყვანოთ ჩვენი თავი შემდეგი სიტყვების მოგონებით, რომელიც დაბეჭდა თავის წლიურს ანგარიშში ყოფილმა მზრუნველმა კავკასიის ოლქისამ იანუარი ნევეროვმა, როდესაც ჰმარტავდა საჭიროებას ქართულის ენის საფუძვლიანად შესწავლისას: „Нѣтъ образованія безъ вазможнаго полнаго знанія своего родного языка, какъ орудія мысли“. ფრიად საგულისხმიეროა და გამომაფხიზლებელი აგრეთვე შემდეგი მსჯელობა მხურვალე რუსი პატრიოტისა ფადეევისა, რომელიც ამბობს: „Для того, чтобы грузинъ былъ хорошимъ русскимъ подданнымъ, онъ долженъ быть сначала хорошимъ Грузиномъ“.

ვინ უნდა იკისროს ჯეროვანი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე? რასაკვირველია, თავად-აზნაურობამა. ამას ავალებს მას შემდეგი ორი მიზეზი: ჯერ ერთი ესა, რომ ამ გვარი შუამდგომლობის უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ თავად-აზნაურობასა და სხვას არავის; მეორედ, საშუალო და სამოქალაქო სასწავლებლებში დიდს უმრავლესობას ქართველის მოწაფეებისას შეადგენენ თავადთა და აზნაურთა შვილები. იმერთა თავად-აზნაურობამ უკვე აღძრა ამ გვარი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, გზა უკვე გაუკლია საქმესა და ამერთა თავად-აზნაურობას მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ თავის თავის და ქვეყნის სასიკეთოდ ამ გზასვე დაადგეს და ბანი მისცეს თავის დასავლეთს მოძმეებსა. უკუდგომა, ან განზე გაწევა სამარცხვინოც იქნება და მავნებელიცა.

ეს შუამდგომლობა უეჭველად გასჭრის მეტადრე ამ ჟამად, როცა განათლების სამინისტრო სასწავლებელთა რეორგანიზაციას, გადაკეთებას შესდგომია, გასჭრის, თუ იგი შუამდგომლობა გულიანად იქნება აღძრული და საფუძვლიანად დასაბუთებული.

ვარიანელი.

---

*) მაგარის, საღის ადამიანის სისხლი ადვილად სძლევს და სპობს გვამის სხვა-და-სხვა ნაწილებში საიდანმე გაჩენილს მტერს — ჭლექის თესლს. სუსტის ადამიანის სისხლი-კი მოკლებულია ამ თვისებას.

2—3 კვირის განმავლობაში უნდა გამომზევდებოდეს, რისთვისაც ამ დროს კარი და ფანჯრები დღე და ღამ ღია უნდა იყოს. კედლები, იატაკი და ჭერი უნდა კაირეცხოს კარბოლის სიმჟავით (5%), მას უკან კედლები ხელ-ახლად გათეთრდეს და მხოლოდ ამის შემდეგ დასახლდნენ ამ ოთახში.

10. ნახველის შემდეგ **მეორე წყარო** ჭლექის სენის გავრცელებისა კაცთა შორის **ჭლექიანი საქონელი** არის, უფრო-კი ძროხები და ღორები. ყოველთვის, როდესაც დარწმუნებული არა ხართ, რომ ის ძროხა საღია, რომლის **რძესაცა** ხმარობთ, ეს რძე **ადუღებული** იხმარეთ.

11. ამისავე თქმა შეიძლება შესახებ შინაურის საქონლის ხორცისა. ნაკლებად შემწვარი ხორცისა და უმის მწვადის ხმარება არ არის მოსაწონი. ამ ბოლოს დროს ჭლექით ავადმყოფებს ურჩევენ უმის ხორცისა და მისის წვენის ხმარებას. უკეთესიცა და უვნებელიც არის ამ შემთხვევაში, გარდა კარგად შემწვარის ხორცისა,—ხორცის ფქვილის ხმარება, რომლის მომზადებას ყველა ექიმი ასწავლის **ავადმყოფს**.

იმ ქვეყნებში, სადაც ჭლექს მტკიცედ ებრძვიან და, სადაც ამით მისი შემცირებაც მოახერხეს, ასე რომ სულ 20—40 წლის განმავლობაში, ჭლექით ნახევარზედ ნაკლები ხალხი იხოცება, ვიდრე წინად, ყველა ზემო აღნიშნული წესი, იბეჭდება ცალკე ფურცლებად და გამოფენილია თვალსაჩინო ადგილას, რომ ხალხი მუდამ კითხულობდეს და ასეთს დარიგებას ასრულებდეს. ჩვენში პატარა ქალაქებისა და სოფლებში ფურცლებს და წიგნაკებს ძალიან ნაკლებად კითხულობენ, ამიტომაც აუცილებლად საჭიროა, რომ ქალაქებში ყველა წერა-კითხვის მცოდნემ სოფლებში-კი ღვდლებმა, მოძღებმა, მასწავლებლებმა და მწერლებმა გააკრან ეს ჩვენი ფურცლები ეკკლესიის გალავანსა და მოედნებზედ, სადაც წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი იკრიბება წაუკითხონ ეს დარიგებანი და აუხსნან ხოლმე მისი სარგებლობა ხალხს. აქ საჭიროა აგრეთვე დახმარება სახალხო სკოლასა, რომელსაც შეუძლიან გადააჩვიოს ბავშვები ცუდს ჩვეულებას—ყოველ წამოხველებაზედ აქეთ-იქით ფურთხვასა. ერთის სიტყვით ყველასი მტკიცედ უნდა სცდილობდნენ, რომ ყველას, ვისაც ახველებს, **რცხვენოდეს ნახველის გადაფურთხებისა, სადაც მოხვდება**, სწორედ ისე, როგორადაც ეხლა ქალაქსა და მრავალ სოფლებშიაც ყველასა რცხვენიან და უმართებულოდ მიაჩნია ხელით ცხვირის მოხოცვა და ცხვირსახოცის უქონლობა. მაშადამე, საჭიროა, რომ ესეც **ხალხის ჩვეულებად** გადაიქცეს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

კვირას, 24 ნოემბერს ქართულმა დრამ. დასმა წარმოადგინა დრამა (უფრო-კი მელოდრამა) „უბედურს ვარსკვლავზე" და „ბაქი-ბუქი". პირველი პიესის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ კვირის ხალხს ძალიან მოეწონა თითონ პიესაც და მოთამაშენიც, მხოლოდ შიგა და შიგ ზოგიერთებს ეტყობოდათ როლის უცოდინრობა. განსაკუთრებული ყურადღება-კი დაიმსახურა თავის თამაშით კ. მესხმა. მეორე პიესა—„ბაქი-ბუქი" მართლა ბაქი-ბუქი გამოდგა და გაჭიანურებულიც; ისე გაგძელდა ეს მცირე შინაარსიანი, მაგრამ გძლად დაწერილი კომედია, რომ ბევრმა გათავებას აღარ მოუცადა.

ხალხი ბლომად დაესწრო.

ხუთშაბათს, 28 ნოემბერს არის დანიშნული ბ-ნ კ. მესხის ბენეფისი ქ-ნ ეფ. მესხის მონაწილეობით. წარმოადგენენ ახალ დრამას „კოვერლეის მკვლელობას". ამ პიესისთვის განსაკუთრებით ახალი მოწყობილებაა თურმე მომზადებული, როგორც დეკორაცია გვირაბისა, რკინის გზის მატარებელი და სხვ.

ქუთაისი. „კონსტანტინე ბატონიშვილმა", რომელიც წარმოდგენილ იქმნა 22 ნოემბერს, ქ-ნ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით და ბ-ნ ვლ. მესხიშვილის გამგეობით, ძლიერ ცუდად ჩაიარა. გარდა ქ-ნ ნ. ჩხეიძისა, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ეხლაც საუცხოვოდ ჩაატარა თავისი როლი (ქეთევანი), რისთვისაც ღირსეულად იქმნა დაჯილდოვებული ვაშათი და ტაშის კვრით. ზოგს შესაფერი როლი არ ჰქონდა, ზოგმა როლი არ იცოდა. ჩვენ ძლიერ კვაკირვებს ერთი გარემოება: აფიშებში გამოცხადებული იყო ბ-ნ ვლ. ა.-მესხიშვილის გამგეობითო და ეს პატივცემული პირი-კი აქაურ წარმოდგენის დროს ბათუმში იყო. დარწმუნებული ვართ, თუ მესხიშვილი დასწრებოდა ამ პიესის რეპეტიციებს, ასრე არ ჩაივლიდა ეს წარმოდგენა.

Allience.

ბათომი. ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, ქართული სცენის მოყვარეთა ამხანაგობისაგან ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა „შეშლილია", კომედია-დრამა 3 მოქმედებად, თარგმანი ვ. აბაშიძისა, და „ბაიყუში", ვოდევილი 2 მოქმ. ა. ცაგარლისა. ბ-ნმა მესხიშვილმა დიდის ხელოვნებით დაგვიხატა ნერვებ-მოშლილი გარლეიგი, რომელსაც სინიდისის ულმობელი ქენჯნა ერთ წუთსაც არ აძლევს მოსვენებას.

ვოდევილი გვარიანათ ითამაშეს. ვოდევილის შემდეგ იმღერა ქართულმა ხორომ ბ-ნ გ—ძის ხელ-მძღვანელობით. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

ც.

ხონი. წარსულს ზაფხულს აქ ააგეს საზაფხულო თეატრი ბბ. ვ. შავდიას და პ. მდივანის თაოსნობით. შენობის დასრულების შემდეგ თითქმის ყოველ კვირას იმართებოდა წარმოდგენა იმავე პირების ხელმძღვანელობით. ზაფხულს ბ-ნი ვ. შავდია, რუსეთში წავიდა, პ. მდივანიც სამსახურში შევიდა. მას შემდეგ ერთი ხეირიანი წარმოდგენაც არ გამართულა.

3-ს ნოემბერს ხონის საქალებო პროგიმნაზიის შენობაში ქუთაისის დრამატიული დასის მსახიობის ნემოს შემწეობით, აგრეთვე ტყეშელაშვილის, პ. მდივანის, ი. ბახტაძის და სხვა აქაური სცენის მოყვარეთა დახმარებით გაიმართა წარმოდგენა. ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენას და კმაყოფილიც დარჩა.

ა. ა.

სასამართლო

25 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველ განყოფილებაში გაირჩა საქმე ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მეუღლის სპეშნევისა, რომელსაც ბრალად ბავშვის გალახვა ედებოდა. ამ საქმის გამო სასამართლოში დაბარებული იყო სამი მოწმე, სხვათა შორის მღვდელი ჯავაშვილი და ამავ სასწავლებლის მოწაფე ბოხანოვი. სასამართლოში მღვდელი ჯავაშვილი არ გამოცხადდა და ჩვენება ჩამოართვეს ორ დანარჩენ მოწმეს. მცირე ხნის თათბირის შემდეგ ოლქის სასამართლომ დაამტკიცა მომრიგებელ სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ქ-ნი სპეშნევისა გამართლებულ იქმნა.

სიღნაღი. 19 გიორგობისთვეს ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ განიხილა საქმე სიღნაღის სასაფლაოს წმ. გიორგის ეკკლესიის მნათეს იაგორ ზურიევისა და ძმათა ონანოვებისა, რომელთაც ბრალდებოდათ საეკკლესიო ტყის მოთვისება და ძალ-მომრეობით ტყის გაკაფვა და ტყიდგან 147 მან. და 80 კაპეიკის ფიჩხის წაღება. ოლქის სამმართველომ დამნაშავედ იცნო იოსებ კონსტანტინე და ბეჟანა ონანოვები თავისუფლებით საეკკლესიო ტყის დაჭრაში 9 და 10 მარტს 1900 წელს და ტყიდგან ფიჩხის გატანაში, რისათვისაც გადაუწყვიტა შვიდ-შვიდი დღით დაჭერა თვითეულ მათგანს პოლიციაში და გარდახდა 147 მან. 80 კაპ. ეკკლესიის სასარგებლოდ ტყის ნაფასურიდ ყოველის ამ დავაზედ მოსულ ხარჯებით.

დამსწრე.

ბიბლიოგრაფია

И. Джаваховъ. Народныя переписи въ Грузіи (С.-ПБ , 1901 г.).

რომ ვახტანგისა და ვახუშტის დრომდე ქართველებს სცოდნიათ ქვეყნის ტოპოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა, მამულებისა და სამფლობელოების დავთარში ჩაგდება, ეს უკვე აღნიშნული და განმარტებული იყო **გადაწყვეტილად** („სამცხე", წინასიტყვაობა). ივანე ჯავახიშვილს ვრცელი ცნობები მოუყვანია შესახებ იმ წყაროებისა, რომელნიც ზოგი თვითონ და ზოგი სხვებმა აღბეჭდეს ამ ბოლო წლებში, და რომელნიც გვაცნობებენ ხალხის, სადრომო-სამოურავოების აღწერის წესებს, გაყრის საბუთებს და სხ. ყველა ამგვარი საბუთები ცხადად უარჰყოფენ საქართველოს პირველ რუს-მმართველების მიერ გავრცელებულს აზრს, რომ, ვითომ, საქართველოს სამეფოში საქმეები სიტყვიერად სწარმოებდაო და ვითომ მთავრობისა და მის მოხელეთა თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდაო,—ამბობს ავტორი თავის საყურადღებო გამოკვლევის დასასრულს.

მ. ჯ.

„ივერიის" ფოსტა:

ქუთაისი. Homo Novus-ს თქვენი წერილი „ქართველთა რიცხვი ასის წლის წინად" მალე დაიბეჭდება.

ი—გო ტ—ელს. თქვენი ლექსი „ჩემს მტერს" არ დაიბეჭდება. პოემა ჯერ არ განგვიხილავს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

24 ნოემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია ბრძანება, რომ ჯარმა იდღესასწაულოს პლევნის აღების 25 წლის იუბილეი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აღკრძალა განცხადებათა ბეჭდვა გაზ. „ბესარაბეც"-ში და გაყიდვა გაზ. „ოდესკია ნოვოსტი„-ს ნომრებისა.

ყინვებმა გააფუჭა ტელეგრაფი ხარკოვსა, როსტოვსა, ტაგანროგსა, სიმფეროპოლსა და ეკატერინოსლავს შორის. როსტოვსა, ვორონეჟსა და მოსკოვს შორის დეპეშები ფოსტით იგზავნება.

ჯიბუთი. ხარასის ოლქში მენელიკმა ჯარები შეკრიბა მეამბოხეთა დასასჯელად ტიგრში.

კონსტანტინეპოლი. გამოცხადებულია წევრთა სია იმ კომისიისა, რომელსაც მიენდო მაკედონიაში რეფორმების შემოღება, წევრთა შორის ქრისტიანი არ ურევია.

ათინა. ახალ კაბინეტში არიან: დელიანისი—მინისტრ-პრეზიდენტი და ფინანსთა, მავრომიხალისი—შინაგან საქმეთა. ლიმბრიტისი—სამხედრო, სკუზესი—გარეშე საქმეთა და საერო განათლებისა, ციგომალისი—საზღვაო და კარაპანოსი—იუსტიციისა.

პეკინი. ვეიგუანდა დაინიშნა ლიანძანის ვიცე-კოროლად.

მადრიდი. შესდგა ახალი კაბინეტი: სილველა—მინისტრ-პრეზიდენტია, აბარცუზა—გარეშე საქმეთა, დეტო—იუსტიციისა, ვილლავერდი—ფინანსთა, სანჩეცი-ტოკა—საზღვაო, ალლენ-სალაზარი—საერო განათლებისა, ვადილლო—საზოგადო სამუშაოთა, მაურა—შინაგან საქმეთა და ლიპორესი—სამხედრო.

ბელგრადი. ლიბერალთა დასმა გადასწყვიტა მოითხოვოს კონსტიტუციის შეცვლა და შეცვლილ კონსტიტუციას მიეცეს დემოკრატიული სახე, გაუქმდეს სენატი და ახლანდელ მმართველობას და მარკოვიჩს ოპოზიცია გაუწიონ.

პარიჟი. ცხარე სჯა იყო ემბერთა საქმეზე. როდესაც იუსტიციის მინისტრი ტრიბუნიდან ჩამოვიდა, მას დაუხვდა სივტონი და სიტყვით შეურაცხყო. ნაციონალისტები და სოციალისტები ერთმანერთს შეურაცხყოფას აყენებენ და ემუქრებიან. პრეზიდენტმა ბურჟუამ გამოაცხადა, რომ სივტონმა წარმოსთქვა უკადრისი სიტყვები მთავრობის წინააღმდეგ. სივტონი ამბობს, რომ ვალლეს სეკუნდანტები გავუგზავნეო. სივტონი დროებით გამოირიცხა, მაგრამ დარბაზს თავს არ ანებებს. კრება დაიშალა. კრების დროებით შეწყვეტის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა სთქვა, მიღებულია ყოველივე ღონისძიება ემბერთა შესაპყრობად. 336 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 136 ხმისა პალატამ დაადგინა მორიგ საქმეების განხილვას შეუდგნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	45,92½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,64½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	482 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	372 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	301½ მყიდ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88½ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	99½ მყიდ.
აქციები ,, „ „ „	495
,,კასპიის ამხანაგობისა.	4650 წვრ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	420 წვრ. გაყიდ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	202 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

სასამართლოს შესახები ცნობანი

სამოსამართლო პალატაში დანიშნული საქმეები 30 ნოემბერს:

1. თედორე ქილაგანისა და იორდანე სურმავას საქმე.
2. ეფემია ჩიქოვანისა და არტემ სიმონიანცის დავა.
3. ეპიფანე ცაგარლისა და ერასტე კაწარავას დავა.
4. როსებ, ლუარსაბ, გიორგი და დათა ფარცხვერაშვილის და ბიჭია და ნესტორ საცერიძეს დავა.
5. ალექ. და სენო მხეიძისა და ვასილ კიკნაძის დავა.
6. მიხ. დრეკელოვისა და მარკინის დავა.
7. პავლე ბოყაძისა და გედევან ბახტაძის დავა.
8. ლუკა ბახისა და უტო ბახია სადავო საქმე.
9. სლუჩევსკისა და ოლღა მელიალქოვის დავა.
10. დედულა ხურცინოვისა და ზალიკო და ხოხა კუხანოშვილის დავა.
11. თავ. მიხეილ ლორთქიფანიძისა და თავ. ასლან ლორთქიფანიძის დავა.
12. ნიკოლ. წყობილაძისა და გიორგი და ილარიონ ფურცხვანიძეთა დავა.
13. გ. გძელიშვილისა და მიხ. ბაქრაძის დავა.
14. ეკ. ტატუნაშვილისა და გაბოსი, ლექსოსი და ფარსო კონდარაშვილების დავა.
15. ილია ახპაძისა და ვლადიმერ სოფრომაძის დავა.
16. ნესტორ მაღლაძისა და სიმონ ტყემალაშვილის საქმე.
17. ფედოტი ლაკტიონოვისა და კონსტანტინე ხიზანოვის საქმე.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფოთის ქალაქის მმართველობა

ამით იუწყება, რომ 18 დეკემბერს 1902 წელს შუადღის 12 საათზე მისის თანა დასწრებით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემო დასახელებულ პირთა მამულებისა, რომელთაც სახელმწიფო და სახაზინო გარდასახადი არ შეუტანიათ.

1) ოდიშარიას ევნატე კოჩოს ძისა: სახლი და მიწა, რომელიც იმყოფება ივანოვის ქუჩაზე XXIV უბანში № 248, ზომით 343,25 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 11 მ. 40 კაპ.

2) ჭიჭინაძის მიხეილის—სადუქნე ადგილი, რომელიც იმყოფება ივანოვისა, ლევაშოვისა და საყდრის ქუჩებზე. ზომით 80 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 5 მ. 50 კაპ.

3) ჟორჟოკაიასი ბეჟან გეგმაა აღებული ადგილი, რომელიც იმყოფება ბერძნების ქუჩაზე XXV უბანში № 288, ზომით 240 ოთხკუთ. საჟ. გარდასახადია 10 მ. 88 კ.

4) სმიტის ბრონისლავ ალექსანდრეს ასულისა: გეგმა აღებული ადგილი, რომელიც იმყოფება ციციანოვის და პალესტინის კუთხეში CXV უბანში № 1033 გარდასახადია 19 მ. 67 კაპ.

5 ერისთავის ბარბარე (ახლა ვერა ერისთავისა) გეგმა აღებული ადგილი, რომელიც იმყოფება ლაზარევის ქუჩაზე XVI უბანში № 143, ზომით 400 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 6 მ. 52 კაპ.

6) ხუნცარიასი მარკოზისა, გეგმა აღებული ცალიერი ადგილი, რომელიც იმყოფება უკოპორჩინის ქუჩაზე XXII უბანში, № 218, ზომით 536 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 3 მან.

7) ჯანჯღავას ეფროსინე შევარდენის ასულისა: ხის სახლი, რომელიც იმყოფება ლიალინის ქუჩაზე XXII უბანში, № 232. გარდასახადია 62 მ. 32 კაპ.

8) კორტუშვილის იულონ, გეგმა აღებული ცალიერი ადგილი, რომელიც იმყოფება ციციანოვის ქუჩაზე XLVII უბანში № 475, ზომით 260 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 2 მ. 53 კაპ,

9) დიმიტრი სმირნოვის მემკვიდრეთა ქვითკირის სახლი და მიწა არმიანსკი ქუჩაზე VII უბანში № 71, ზომით 800 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 16 მ. 37 კაპ.

10) შტოპელის ოლღა: ხის სახლი, რომელიც იმყოფება გაგარინისა და წყლისპირის ქუჩებზე XCVII უბანში № 922. გარდასახადია 3 მ. 68 კაპ.

11) ანდრეევის ალექსანდრე ფილიპეს-ძისა, გეგმა აღებული ცალიერი ადგილი, რომელიც იმყოფება დიდ კუნძულზე ქალაქ ფოთს—ნახიმოვისა და ბერდიანსკის ქუჩების კუთხეში № 889, ზომით 200 ოთხკუთხი საჟენი, გარდასახადია 1 მ. 94 კა.

12) ჯაკობაასი პეტრესი, ითანასე კოიავასი და ბურდღუ ფარგალავას მემკვიდრეთა მიწა, რომელიც მდებარეობს გრეიგოვის ქუჩაზე № 199, ზომით 100 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 4 მან 58 კაპ.

13) ბარანოვსკის ქვრივის ადგილი, ცალიერი მიწა, რომელიც მდებარეობს პეტროვსკისა, წყლის პირისა და ნოვოროსიისკის ქუჩების კუთხეში № 997, ზომით 200 ოთხ-კუთხი საჟენი. გარდასახადია 1 მ. 84 კ,

14) კიკიანის, სტეფანესი: ცარიელი მიწა, რომელიც მდებარეობს დიდ კუნძულზე გრეიგოვსკისა და როსტოვსკის ქუჩების კუთხეში. № 840, ზომით 200 ოთხ-კუთხი საჟენი. გარდასახადია 5 მ. 02 კაპ.

15) ხანდილის სტავროსი, ცალიერი ადგილი, რომელიც მდებარეობს მიხაილოვის ქუჩის კუთხესა და ოდესის წყლის პირის ქუჩაზე № 37, ზომით 200 ოთხკუთხ. საჟ. გარდასახადია 2 მ. 02 კ.

16) ნაკაშიძის სოფიო ნიკოლოზის ასულისა სამი გეგმა აღებული ცალიერი ადგილი, რომელიც მდებარეობენ ხერსონის ქუჩაზედ, დიდ კუნძულზე, № № 75, 76 და 77 ზომით 740 ოთხკუთხი საჟენი. გარდასადია 5 მ. 97 კაპ.

17 იანოვსკის გენრიეტა ანდრიას ასულისა: ცალიერი ადგილი, რომელიც მდებარეობს ოდესის წყლის პირის ქუჩის დიდ კუნძულზე № 31 ზომით 200 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 2 მ. 98 კ.

18) შარაშიძის მიხეილ ზურაბის ძისა გეგმა აღებული ადგილი, რომელიც მდებარეობს დიდი კუნძულის კორნილოვის ქუჩაზე № 544, ზომით 200 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადი 1 მ. 61 კაპ.

(3—6—2)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго" метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.